განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

## შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 23 მაისი, 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი: 06.07.

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 201951637 |
| დაწესებულების სახე | უნივერისტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი (პირველი საფეხური) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში 0204 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **გოჩა თუთბერიძე** ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **რუსუდან სეთურიძე** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **ირაკლი გაბრიაძე** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის მიზანია ფინანსების სპეციალობით ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელიც შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი იქნება. პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს.

ფინანსების საბაკალავრო პროგრამას უნივერსიტეტი 2012 წლიდან ახორციელებს. ამ პერიოდში პროგრამაში ხდებოდა მოდიფიცირება, პროფესორთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა აზრის გათვალისწინებით. წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებისა და სწავლის შედეგების განსაზღვრის პროცესშიც აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან ერთად ჩართულნი იყვნენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

ფინანსების საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით:

სავალდებულო კომპონენტები: 176 კრედიტი, მათ შორის: საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 22 კრედიტი; საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) სავალდებულო სასწავლო კურსები – 58 კრედიტი; სპეციალობის (ფინანსების) სავალდებულო სასწავლო კურსები – 96 კრედიტი; არჩევითი კომპონენტები: 44 კრედიტი, მათ შორის: საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი; საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) არჩევითი სასწავლო კურსები – 8 კრედიტი; სპეციალობის (ფინანსების) არჩევითი სასწავლო კურსები – 26 კრედიტი; თავისუფალი კომპონენტები: 20 კრედიტი. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს პრაქტიკა 18 კრედიტის მოცულობით და შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი – 12 კრედიტის მოცულობით.

პროგრამას ყავს სტუდენტები და კურსდამთავრებულები. პროგრამის კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ ისინი დასაქმებული არიან სხვადასხვა კომპანიებში. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 23 მაისს. ვიზიტამდე წინა დღეს 22 მაისს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (გოჩა თუთბერიძე, რუსუდან სეთურიძე ირაკლი გაბრიაძე) 10 საათიდან და 2 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

23 მაისს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 9 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (კანცლერი, რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა,

საუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა, დადგენილი წესის თანახმად, შესაბამისობაშია III, და V სტანდარტებთან, მეტწილ შესაბამისობაშია II და IV სტანდარტებთან,, ხოლო ნაწილობრივ შესაბამისობაშია I სტანდარტთან.

- უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, ფინანსების საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის მიზანია ფინანსების სპეციალობით ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზად-ება, რომელიც შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი იქნება. პროგრამის აღნიშნული მიზანი შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან. თვითშეფასებაში აღნიშნულია და ინტერვიუს დროსაც დაწესებულებამ დაადასტურა, რომ „პროგრამის შემუშავებამდე უნივერსიტეტმა ჩაატარა დასაქმების ბაზრის კვლევა, რომელმაც დაადასტურა რამდენად დიდია დღეს მოთხოვნა ფინანსების დარგის სპეციალისტებზე როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ“. თუმცა, ბოლო ოთხი წლის ჩარიცხვები და კონკურსი საგანამანათლებლო პროგრამაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული სპეციალობისადმი ინტერესი კლებულობს. ამასთან, ჩატარებული კვლევა უფრო მარკეტინგული კვლევაა და ის შრომის ბაზრის სრულფასოვან კვლევად ვერ ჩაითვლება, შესაბამისად, ვერ დასტურდება საგანამანათლებლო პროგრამის დასაქმების ბაზარზე ორიენტირებულობა და საგანამანათლებლო პროგრამის მიზნების მიღწევადობა;
- საბაკალავრო პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის ჩათვლით, ნაწილობრივ უზრუნველყოფს დასახული მიზნების, აღწერილი სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამა სწავლების ბოლო სემესტრში ითვალისწინებს პრაქტიკას 18 კრედიტის და საბაკალავრო ნაშრომს 12 კრედიტის მოცულობით. ამასთან, პრაქტიკის სილაბუსში მითითებულია, რომ სტუდენტი პრაქტიკის ობიექტზე ატარებს კვირაში 25 საათს, რაც დღეში 5 საათია, რომლის შემდეგ, სტუდენტს პრაქტიკულად აღარ რჩება დრო საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისათვის. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა და პროგრამაში ჩართულმა პირებმა ვერ დაასაბუთეს, თუ რატომ იყო აუცილებელი ამ მოცულობით პრაქტიკის ერთ სემესტრში მიცემა. არგუმენტი იყო სტუდენტების მხრიდან მოთხოვნა პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების შესახებ;
- საგანმანათლებლო პროგრამით პირველ სემესტრში შეთავაზებულია სასწავლო კურსი მიკროეკონომიკა. სტუდენტებს ჯერ არა აქვთ გავლილი შესავალი კურსი „მიკროეკონომიკის პრინციპები“, შესაბამისად, ისინი არ იცნობენ მარტივ ეკონომიკურ ტერმინებს, ცნებებს და კატეგორიებს. ასევე, არ იცნობენ მიკროეკონომიკურ მოდელებს და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესავალი კურსის და კალკულუსი 1-ის შესწავლის გარეშე, პირდაპირ, მიკროეკონომიკის სასწავლო კურსის შეთავაზება პირველივე სემესტრში, საკმაოდ რთულად დასაძლევი ამოცანა იქნება სტუდენტებისათვის;

- იგივე შეიძლება ითქვას მაკროეკონომიკის სასწავლო კურსის შესახებ, რომლის შინაარსი და ლიტერატურაც, ასევე, არ იქნება მარტივად დასაძლევი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სტუდენტებისათვის;
- საგანმანათლებლო პროგრამით კრედიტების განაწილება სასწავლო კურსების მიხედვით განსხვავებულია, მაგრამ კრედიტების განაწილების ლოგიკა არ არის ნათელი და დასაბუთებული. მაგ., სასწავლო კურსები კალკულუსი 1 და 2 შეთავაზებულია 4 კრედიტის მოცულობით თითეული, მაშინ როცა „ევროკავშირის საგადასახადო სამართალი", „საჯარო ფინანსები" 6 კრედიტის მოცულობით. როგორც წესი რაოდენობრივი საგნების შესწავლას სტუდენტები მეტ დროს ანდომებენ.
- საგანამანათლებლო პროგრამით გათვალსწინებული სასწავლო კურსის „ფინანსების თეორიის" შინაარსი არ პასუხობს ამავე სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. მაგ. სწავლის შდეგი ცოდნა-გაცნობირებაში მითითებულია, რომ „სტუდენტს ეცოდინება კორპორაციის ფუნქციონირების ფინანსური საშუალებები და ფინანსური გადაწყვეტილებები; კორპორაციის ფინანსური მართვის პროცესი; რისკის სახეები, რომლებიც დამახასიათებელია კორპორაციის საქმიანობისათვის; სავალუტო რისკის პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებები". თუმცა სასწავლო კურსის შინაარსის თემატიკა საერთოდ არ მოიცავს ასეთ საკითხებს.
- სასწავლო კურსის „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში" შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა ვერ უზრუნველყოფს ამ სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსის შინაარსი არ ითვალისწინებს ისეთი თემების სწავლებას როგორიცაა დისპერსიული ანალიზი, რეგრესია და რეგრესიული ანალიზი, დროითი მწკრივების ანალიზი და პროგნოზირება.
- საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტები მოიცავს 176 კრედიტს, მათ შორის: საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები 22 კრედიტი, საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) სავალდებულო სასწავლო კურსები 58 კრედიტი, სპეციალობის (ფინანსების) სავალდებულო სასწავლო კურსები 96 კრედიტი. პროგრამის არჩევითი კომპონენტი მოიცავს 44 კრედიტს: საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი, საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) არჩევითი სასწავლო კურსები – 8 კრედიტი, სპეციალობის (ფინანსების) არჩევითი სასწავლო კურსები – 26 კრედიტი; პროგრამა აღნიშნულის გარდა სთავაზობს თავისუფალ კომპონენტებს 20 კრედიტის მოცულობით;
- საგანმანათლებლო პროგრამა რაოდენობრივ კომპონენტების სწავლებაში არ ითვალისწინებს ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის სასწავლო კურსის სწავლებას. კალკულუსი 2-ის შემდეგ მესამე სემესტრში ისწავლება სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის, რომელიც ასევე თავის მხრივ არ ითვალისწინებს ალბათობის თეორიის ელემენტებს. მაშინ როცა, ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის ელემენტები გამოიყენება კორპორაციის ფინანსების, რისკების, ფინანსური მენეჯმენტის, ინვესტიციების და ა.შ. სწავლებისას;
- ფინანსების საბაკალავრო პროგრამას უნივერსიტეტი 2012 წლიდან ახორციელებს. ამ პერიოდში პროგრამაში ხდებოდა მოდიფიცირება, პროფესორთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა აზრის გათვალისწინებით. წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებისა და სწავლის შედეგების განსაზღვრის

პროცესში აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან ერთად ჩართულნი იყვნენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები;

- ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების პირველი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია, როგორც აბიტურიენტებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისათვის, უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით. http://www.ciu.edu.ge.
- აღსანიშნავია ის გარემობა, რომ დაშვების წინაპირობაში მითითებულია უცხო ენა (და არა ინგლისური ენა) 25%+1 კომპეტენციის ზღვრით. თუმცა სტუდენტებისათვის ინგლისური ენა, ფინანსების საგანამანათლებლო პროგრამით, სავალდებულოა და იმისათვის, რომ კვალიფიკაცია მიენიჭოთ, მათ უნდა დაძლიონ B2 დონე ენათა საერთო ევროპული ჩარჩოს სტანდარტების მიხედვით. უნივერსიტეტი ინგლისური ენის სავალდებულო კომპონენტს სთავაზობს ორი სემესტრის განმავლობაში 10 კრედიტის მოცულობით, რაც ექსპერტთა ჯგუფის აზრით არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სტუდენტებმა, რომლებსაც არ უსწავლიათ ინგლისური ენა დაძლიონ B2 დონე.
- 2018 წელს უნივერსიტეტი კონტინგეტის ძირითადი ნაწილის მიღებას აპირებს გეოგრაფიის და ისტორიის (40;20) არჩევითი საგნებით, ხოლო, მათემატიკისთვის კი მხოლოდ 5 ადგილია გათვალისწინებული.
- პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არ არის ლოგიკური. პროგრამის არ გააჩნია თანმიმდევრული და ლოგიკური სტრუქტურა.

კერძოდ:

- სასწავლო კურსი „მაკროეკონომიკა" ისწავლება წინაპირობის გარეშე, მაშინ როცა, თუ სტუდენტს არა აქვს გავლილი მიკროეკონომიკის შესავალი კურსი და არ იცის ელემენტარული ეკონომიკური ტერმინები, ცნებები და კატეგორიები, ასევე მიკროეკონომიკური მოდელები და ა.შ., მას ძალიან გაუჭირდება მაკროეკონომიკის და მაკროეკონომიკური მოდელების გაგება;
- „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში" წინაპირობად მითითებულია კალკულუსი 1. აღნიშნული საგანი ისწავლება მესამე სემესტრში, მაშინ როდესაც სტუდენტებს უკვე ნასწავლი აქვთ კალკულუსი 2. შესაბამისად, სილაბუსების შინაარსიდან გამომდინარე უფრო ლოგიკურია ააღნიშნული საგნის წინაპირობად განისაზღვროს კალკულუსი 2;
- „შესავალი ბუღალტრულ აღრიცხვაში" წინაპირობად მითითებულია კალკულუსი 1. თუმცა სილაბუსის შინაარსიდან ასეთი აუცილებლობა არ იკვეთება. სტუდენტს აღნიშნული კურსის სწავლა თავისუფლად შეუძლია ყოველგვარი წინაპირობის გარეშე პირველივე სემესტრში;
- „ბიზნესის კვლევის მეთოდები" წინაპირობად მითითებულია ბიზნესის საფუძვლები და სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. ამასთან, თვითონ სასწავლო კურსი თავისი შინაარსით და ლიტერატურით წარმოადგენს სტატისტიკის კურსს

სოციალური მეცნიერებებისათვის. შესაბამისად, მისი შეთავაზება ამ წინაპირობების გარეშეც თავისუფლად შეიძლება;

- „სადაზღვევო საქმე", „დაბეგვრა და გადასახადები", „კორპორაციის ფინანსები", „საბანკო საქმე" , „ფინანსური და საბანკო საფინანსო რისკები" წინაპირობად მითითებულია მიკროეკონომიკა. არცერთი აღნიშნული სასწავლო კურსი არ საჭიროებს წინაპირობად მიკროეკონომიკას;
- „მმართველობითი აღრიცხვის" წინაპირობად მითითებულია კალკულუსი 2 და სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. რეალურად კი მმართველობითი აღრიცხვა ბუღალტრული აღრიცხვის ნაწილია და მისი წინაპირობა არის ფინანსური აღრიცხვა, ვინაიდან მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაციის 40 პროცენტი ფინანსური ხასიათისაა;
- ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება, ვინაიდან არჩევითი საგნების შემთხვევაშიც ბევრგან ვხვდებით არასწორად განსაზღვრულ წინაპირობებს.

- სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შუალედური შეფასება მოიცავს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში;
- ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში, სემინარებსა და პრაქტიკულ მეცდინეობებზე აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობით, წერითი ქვიზების შესრულებით, რეფერატების მომზადებითა და პრეზენტაციებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებითა და პრეზენტაციით და ა.შ. თითოეულ საგანში შუალედური გამოცდა ტარდება სემესტრში ერთხელ. კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება. კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი;
- ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები და შესაბამისი კატეგორიები, რომლებსაც სტუდენტი სილაბუსების მეშვეობით ეცნობა. პროგრამის კოორდინატორი და განმახორციელებელი პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და შესაძლო გაუმჯობესების გზების შესახებ. სტუდენტი იღებს შესაბამის უკუკავშირს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან;
- სტუდენტი თავისი პროფილის განსაზღვრისას, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად საჭირო ინფორმაციას, კონსულტაციასა და მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად დახმარებას იღებს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან. პრობლემის შემთხვევაში სტუდენტებს აქვთ საშუალება მიმართონ ფაკულტეტის, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს. სტუდენტებს აქვთ საშუალება გააპროტესტონ შუალედურ თუ საბოლოო შეფასებაში ნაჩვენები შედეგი;

- ფუნქციონირებს კარიერული განვითარების ცენტრი, სტუდენტების თქმით ცენტრი ეხმარება მათ პრაქტიკის გავლაში ასევე აწვდის ინფორმაციას დასაქმების სხვადასხვა შესაძლებლობების შესახებ და ეხმარება სამუშაოს ძიების პროცესში (CV-ს შექმნა, გასაუბრებისთვის მომზადება და ა.შ.);
- უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის მოქმედებს კონსულტაციების სისტემა. საკონსულტაციო საათები გაწერილია სილაბუსებშიც. სტუდენტებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ მათ აქვთ საშუალება ჰქონდეთ საკონსულტაციო საათები და აკადემიურ პერსონალთან განიხილოთ სასწავლო კურსთან დაკავშირებული საკითხები;
- 2009 წლიდან უნივერსიტეტში გამოდის რეცენზირებადი, სამენოვანი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“. მიმდინარე სასწავლო წელს ბიზნესის ფაკულტეტის 4 პროფესორი საზღვარგარეთის სხვადასხვა ცნობილ უმაღლეს სასწავლებლებში, სასწავლო პროცესშია ჩართული და ატარებს ლექციებს;
- უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საზღვარგარეთ არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა 2010 წლიდან არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი და ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში. არსებული მოთხოვნის შესაბამისად, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა პერიოდულად ახორციელებს ახალი სასწავლო ლიტერატურის შეძენის პროცესს;
- "ფინანსების" საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 3 პროფესორი, 25 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი და 10 მოწვეული ლექტორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა კვალიფიკაცია და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევასა და შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს დარგის თეორიას, პრაქტიკას და პროფესიულ უნარებს, თუმცა სასურველია აკადემიურმა პერსონალმა უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს კვლევით კომპონენტს;
- პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა უზრუნველყოფილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით;
- სასწავლო მასალა ნაწილობრივ არის დაფუძნებული მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და შესაბამისად, ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსების შესწავლისას გამოვლინდა, რომ გასაახლებელია ლიტერატურა მთელ რიგ სილაბუსებში.
- უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი „დაგეგმე — განახორციელე — შეამოწმე — განავითარე”. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც რამდენიმე ეტაპს მოიცავს. კერძოდ, სტუდენტების მიერ ხდება არა მარტო სასწავლო კურსის სილაბუსებისა და პროფესორ–მასწავლებელთა შეფასება, არამედ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირების მიზნით, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ერთად სისტემატურად აფასებს საგანმანათლებლო პროგრამებს და ახდენს მათ მონიტორინგს. უნივერსიტეტში არსებობს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოკითხვის სპეციალური ფორმები, შეფასების კითხვარები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება გამოკითხვის პროცესში.

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს შიდა შეფასების მექანიზმები, რაც გულისხმობს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებების გასარკვევად რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების ჩატარებას.
- პროგრამის გარე შეფასება ხორციელდება ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის/უნივერსიტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის ფარგლებში. გარე თვითშეფასების შედეგები გათვალისწინებული იქნება პროგრამის განვითარების პროცესში.

- რეკომენდაციები

- დაწესებულებამ პროგრამის შემუშავებამდე ჩაატაროს შრომის ბაზრის სრულფასოვანი კვლევა
- დაწესებულებამ გადახედოს პრაქტიკული კომპონენტის სწავლების მოცულობას. ამასთან, ვინაიდან საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა დაკავშირებულია მნიშვნელოვან ძალისხმევასთან, უმჯობესია ან პრაქტიკა ასეთი მოცულობით და საბაკალავრო ნაშრომი არ იქნას ერთდროულად ერთსა და იმავე სემესტრში შეთავაზებული ან დარეგულირდეს კომპონენტების სწავლების მოცულობა;
- სასწავლო გეგმაში გაითვალისწინებულ იქნას ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის სასწავლო კურსის სწავლება.
- დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს კრედიტების განაწილების სისტემა, თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკის, შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით; (საგანმანათლებლო პროგრამით კრედიტების განაწილება სასწავლო კურსების მიხედვით განსხვავებულია, მაგრამ კრედიტების განაწილების ლოგიკა არ არის ნათელი და დასაბუთებული. მაგ., სასწავლო კურსები კალკულუსი 1 და 2 შეთავაზებულია 4 კრედიტის მოცულობით თითოეული, მაშინ როცა „ევროკავშირის საგადასახადო სამართალი“, „საჯარო ფინანსები“ 6 კრედიტის მოცულობით. როგორც წესი რაოდენობრივი საგნების შესწავლას სტუდენტები მეტ დროს ანდომებენ, შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, კრედიტის მოცულობაც მეტი უნდა იყოს).
- პირველ სემესტრში მიკროეკონომიკის ნაცვლად შეთავაზებულ იქნას სასწავლო კურსი მიკროეკონომიკის პრინციპები, ხოლო მეორე სემესტრში მაკროეკონომიკის ნაცვლად კი მაკროეკონომიკის პრინციპები;
- სასწავლო კურსის „ფინანსების თეორია“ სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსის შინაარსთან;

- სასწავლო კურსი „სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის“ სილაბუსის თემატიკამ მოიცვას დისპერსიული ანალიზი, რეგრესია და რეგრესიული ანალიზი, დროითი მწკრივების ანალიზი და პროგნოზირება;
- საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში გაიზარდოს ინგლისური ენის სავალდებულო კომპონენტის სწავლება;
- პროგრამაზე მიღების წინაპირობებში პრიორიტეტი მიენიჭოს მათემატიკას. ხოლო არსებული სტუდენტებისათვის კი შემოღებულ იქნეს მათემატიკური უნარების განმავითარებელი შესავალი კურსები (მაგ. პრეკალკულუსი).
- დაწესებულებამ თითოეულ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა უნდა შეიმუშაოს ამ სასწავლო კურსის მიზნიდან, შინაარსიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე
- განახლდეს ლიტერატურა ზოგიერთ სილაბუსებში (მაგალითად, სასწავლო კურსებში: "წერის უნარები" - 2008, დემოგრაფია - 2001, საქმიანი ურთიერთობები და ეტიკეტი - 2008, მიკროეკონომიკა - 2008, საბანკო მარკეტინგი - 2007, საბანკო მენეჯმენტი - 2009, ფინანსური და საბანკო–საკრედიტო რისკები - 2007, არაკომერციული ორგანიზაციების ფინანსები - 2009, აღრიცხვა საფინანსო-საბანკო დაწესებულებებში - 2008, გლობალური ფინანსური ბაზრები - 2005, საბანკო-საფინანსო სექტორის PR- კომუნიკაციები - 2006, საფონდო ბირჟა და ფასიანი ქაღალდების ბაზარი - 2008, საწარმოების დაფინანსების ალტერნატიული ფორმები - 2007, უცხოური ვალუტის ბაზრები - 2007 და სხვა.).

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - კარგი იქნება უცხო ენის სწავლების კიდევ უფრო გაძლიერება პროფესიული ინგლისურის სავალდებულო საგნებში გადატანა, საკონტაქტო საათების გაზრდა, სხვა უცხო ენების სწავლება
  - სასურველია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალის კვლევითი კომპონენტის განვითარებას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს. წინა აკრედიტაციიდან დღემდე პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, პროგრამის სასასწავლო გეგმაში გაიზარდა სავალდებულო კომპონენტების „საბაკალავრო ნაშრომი“ (5-დან 12 ECTS კრედიტამდე) და „პრაქტიკა“ (5-დან 12ECTS კრედიტამდე) კრედიტების მოცულობა. შემცირდა ინგლისური ენის სწავლების კომპონენტი 10 კრედიტით.

წინა აკრედიტაციის ვიზიტისას დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სასწავლო კურსი „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“ სწავლება გადაეტანა მეორე სემესტრიდან მეოთხე სემესტრში, ვინაიდან ის ისწავლებოდა კალკულუს 2-თან ერთად, ხოლო „რაოდენობრივი

ანალიზის მეთოდები“ ისწავლებოდა მესამე სემესტრში. დაწესებულებამ პროგრამის სასწავლო გეგმიდან საერთოდ ამოიღო „რაოდენობრივი ანალიზის მეთოდების“ სასწავლო კურსი, ხოლო სასწავლო კურსის „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“ სწავლება გადაიტანა მესამე სემესტრში.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

| |
|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>კავკასიის საერთაშორსიო უნივერსიტეტის მისიის თანახმად „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ქმნის თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო გარემოს ინოვაციური მეთოდების დანერგვით, ინტერკულტურული განათლებითა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, დემოკრატიული ღირებულებების მქონე თაობის აღზრდას“. აღნიშნული მისიიდან გამომდინარე, საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის მიზანია ფინანსების სპეციალობით ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელიც შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი იქნება. პროგრამის აღნიშნული მიზანი შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან. თვითშეფასებაში აღნიშნულია და ინტერვიუს დროსაც დაწესებულებამ დაადასტურა, რომ „პროგრამის შემუშავებამდე უნივერსიტეტმა ჩაატარა დასაქმების ბაზრის კვლევა, რომელმაც დაადასტურა რამდენად დიდია დღეს მოთხოვნა ფინანსების დარგის სპეციალისტებზე როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ“. თუმცა, ბოლო ოთხი წლის ჩარიცხვები და კონკურსი საგანამანათლებლო პროგრამაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული სპეციალობისადმი ინტერესი კლებულობს. ამასთან, ჩატარებული კვლევა უფრო მარკეტინგული კვლევაა და ის შრომის ბაზრის სრულფასოვან კვლევად ვერ ჩაითვლება. შესაბამისად, ვერ დასტურდება საგანამანათლებლო პროგრამის დასაქმების ბაზარზე ორიენტირებულობა და საგანამანათლებლო პროგრამის მიზნების მიღწევადობა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წესდება;<br>○ თვითშეფასების კითხვარი;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები. |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| ○ დაწესებულებამ პროგრამის შემუშავებამდე ჩაატაროს შრომის ბაზრის სრულფასოვანი კვლევა |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საბაკალავრო პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის ჩათვლით, ნაწილობრივ უზრუნველყოფს დასახული მიზნების, აღწერილი სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევას.<br>საგანმანათლებლო პროგრამა სწავლების ბოლო სემესტრში ითვალისწინებს პრაქტიკას 18 კრედიტის და საბაკალავრო ნაშრომს 12 კრედიტის მოცულობით. ამასთან, პრაქტიკის სილაბუსში მითითებულია, რომ სტუდენტი პრაქტიკის ობიექტზე ატარებს კვირაში 25 საათს, რაც დღეში 5 საათია, რომლის შემდეგ, სტუდენტს პრაქტიკულად აღარ რჩება დრო საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისათვის. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა და პროგრამაში ჩართულმა პირებმა ვერ დაასაბუთეს, თუ რატომ იყო აუცილებელი ამ მოცულობით პრაქტიკის ერთ სემესტრში მიცემა. არგუმენტი იყო სტუდენტების მხრიდან მოთხოვნა პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების შესახებ.<br>საგანმანათლებლო პროგრამით პირველ სემესტრში შეთავაზებულია სასწავლო კურსი |

მიკროეკონომიკა. სტუდენტებს ჯერ არა აქვთ გავლილი შესავალი კურსი „მიკროეკონომიკის პრინციპები“, შესაბამისად, ისინი არ იცნობენ მარტივ ეკონომიკურ ტერმინებს, ცნებებს და კატეგორიებს. ასევე, არ იცნობენ მიკროეკონომიკურ მოდელებს და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესავალი კურსის და კალკულუსი 1-ის შესწავლის გარეშე, პირდაპირ, მიკროეკონომიკის სასწავლო კურსის შეთავაზება პირველივე სემესტრში, საკმაოდ რთულად დასაძლევი ამოცანა იქნება სტუდენტებისათვის;

იგივე შეიძლება ითქვას მაკროეკონომიკის სასწავლო კურსის შესახებ, რომლის შინაარსი და ლიტერატურაც, ასევე, არ იქნება მარტივად დასაძლევი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სტუდენტებისათვის. უმჯობესი იქნება, როგორც ეს ხდება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების საგანამანათლებლო პროგრამებში, პირველ სემესტრში სტუდენტებისსთვის შეთავაზებულ იქნას სასწავლო კურსი მიკროეკონომიკის პრინციპები, ხოლო მეორე სემესტრში კი მაკროეკონომიკის პრინციპები.

საგანმანათლებლო პროგრამით კრედიტების განაწილება სასწავლო კურსების მიხედვით განსხვავებულია, მაგრამ კრედიტების განაწილების ლოგიკა არ არის ნათელი და დასაბუთებული. მაგ., სასწავლო კურსები კალკულუსი 1 და 2 შეთავაზებულია 4 კრედიტის მოცულობით თითოეული, მაშინ როცა „ევროკავშირის საგადასახადო სამართალი“, „საჯარო ფინანსები“ 6 კრედიტის მოცულობით. როგორც წესი რაოდენობრივი საგნების შესწავლას სტუდენტები მეტ დროს ანდომებენ. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს კრედიტების განაწილების სისტემა, თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკის, შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით.

საგანამანათლებლო პროგრამით გათვალსწინებული სასწავლო კურსის „ფინანსების თეორიის“ შინაარსი არ პასუხობს ამავე სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. მაგ. სწავლის შდეგი ცოდნა-გაცნობიერებაში მითითებულია, რომ „სტუდენტს ეცოდინება კორპორაციის ფუნქციონირების ფინანსური საშუალებები და ფინანსური გადაწყვეტილებები; კორპორაციის ფინანსური მართვის პროცესი; რისკის სახეები, რომლებიც დამახასიათებელია კორპორაციის საქმიანობისათვის; სავალუტო რისკის პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებები“. თუმცა სასწავლო კურსის შინაარსის თემატიკა საერთოდ არ მოიცავს ასეთ საკითხებს.

სასწავლო კურსის „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“ შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა ვერ უზრუნველყოფს ამ სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსის შინაარსი არ ითვალისწინებს ისეთი თემების სწავლებას როგორიცაა დისპერსიული ანალიზი, რეგრესია და რეგრესიული ანალიზი, დროითი მწკრივების ანალიზი და პროგნოზირება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ცალკეული კურსების სილაბუსები;
- უსდ-ის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთან, აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება.

**რეკომენდაციები:**

- დაწესებულებამ გადახედოს პრაქტიკული კომპონენტის სწავლების მოცულობას.

ამასთან, ვინაიდან საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა დაკავშირებულია მნიშვნელოვან ძალისხმევასთან, უმჯობესია ან პრაქტიკა ასეთი მოცულობით და საბაკალავრო ნაშრომი არ იქნას ერთდროულად ერთსა და იმავე სემესტრში შეთავაზებული ან დარეგულირდეს კომპონენტების სწავლების მოცულობა

- დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს კრედიტების განაწილების სისტემა, თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკის, შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით.
- პირველ სემესტრში მიკროეკონომიკის ნაცვლად შეთავაზებულ იქნას სასწავლო კურსი მიკროეკონომიკის პრინციპები, ხოლო მეორე სემესტრში მაკროეკონომიკის ნაცვლად კი მაკროეკონომიკის პრინციპები.
- სასწავლო კურსის „ფინანსების თეორია“ სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსის შინაარსთან.
- სასწავლო კურსი „სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის“ სილაბუსის თემატიკამ მოიცვას დისპერსიული ანალიზი, რეგრესია და რეგრესიული ანალიზი, დროითი მწკრივების ანალიზი და პროგნოზირება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტები მოიცავს 176 კრედიტს, მათ შორის: საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები 22 კრედიტი, საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) სავალდებულო სასწავლო კურსები 58 კრედიტი, სპეციალობის (ფინანსების) სავალდებულო სასწავლო კურსები 96 კრედიტი. პროგრამის არჩევითი კომპონენტი მოიცავს 44 კრედიტს: საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი, საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) არჩევითი სასწავლო კურსები – 8 კრედიტი, სპეციალობის (ფინანსების) არჩევითი სასწავლო კურსები – 26 კრედიტი; პროგრამა აღნიშნულის გარდა სთავაზობს თავისუფალ კომპონენტებს 20 კრედიტის მოცულობით.<br>წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუების დროს მიღებული ინფორმაციის მიხედვით, პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა 1.2 ქვესტანდარტის გათვალისწინებით ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით.<br>საგანმანათლებლო პროგრამა რაოდენობრივ კომპონენტების სწავლებაში არ ითვალისწინებს ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის სასწავლო კურსის სწავლებას. კალკულუსი 2-ის შემდეგ მესამე სემესტრში ისწავლება სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის, რომელიც ასევე თავის მხრივ არ ითვალისწინებს ალბათობის თეორიის ელემენტების სწავლებას. ვინაიდან ალბათობის თეორიის ელემენტები გამოიყენება კორპორაციის ფინანსების, რისკების, ფინანსური მენეჯმენტის, ინვესტიციების და ა.შ. სასწავლო კურსების სწავლებისას, მიზანშეწონილია დაწესებულებამ სასწავლო გეგმაში გაითვალისწინოს ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის სასწავლო კურსი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ კურსების სილაბუსები;<br>○ უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან — პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრები;<br>○ სტუდენტებთან გასაუბრება. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>სასწავლო გეგმაში გაითვალისწინებულ იქნას ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის სასწავლო კურსის სწავლება. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ფინანსების საბაკალავრო საგანამნათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები 1.2 და 1.3 ქვესტანდარტის შეფასებებიდან გამომდინარე, მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფენ კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ფინანსებში დასაქმების სფეროა ბიზნეს - საქმიანობის ყველა მიმართულება. მათ შორის: საფინანსო-საბანკო და სადაზღვევო კომპანიები, საფინანსო განყოფილებებსა და ბუღალტერიაში, ადმინისტრაციაში, ბიზნესის სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროებში მენეჯერის, საკრედიტო ოფიცრის, საკრედიტო მენეჯერის, გაყიდვების მენეჯერის, მარკეტინგის მენეჯერის და სხვ. თანამდებობაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან — პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

| |
|---|
| ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ფინანსების საბაკალავრო პროგრამას უნივერსიტეტი 2012 წლიდან ახორციელებს. ამ პერიოდში პროგრამაში ხდებოდა მოდიფიცირება, პროფესორთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა აზრის გათვალისწინებით. წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებისა და სწავლის შედეგების განსაზღვრის პროცესში აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან ერთად ჩართულნი იყვნენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები. მაგ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პრაქტიკის კრედიტების გაზრდა გამომდინარეობდა სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების რეკომენდაციებიდან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ აკადემიურ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრება;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | X | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

| |
|---|
| 2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი |

| |
|---|
| ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას |
